

დამატებითი შეთანხმება

ტელემატიკური პოლისის განსაკუთრებულ პირობებზე

წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, **თქვენ** ირჩევთ ავტოდაზღვევის ტელემატიკურ პოლისს და თანხმობას აცხადებთ იმაზე, რომ რისკის ანალიზის, ასევე საჭესთან **თქვენი** ქცევისა და **თქვენ** მიერ ავტომობილის გამოყენების პროფილის (რისკის პროფილის) შედგენის მიზნით, **ჩვენ** გამოვიყენოთ **თქვენ** ავტომობილში დამონტაჟებული **მოწყობილობის** მეშვეობით მიღებული **მონაცემები**.

შეგროვებული **მონაცემები** გამოიყენება

- პრემიის განსაზღვრისთვის/დაზუსტებისთვის;
- ავტომობილის მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავებისთვის;
- სადაზღვევო შემთხვევების გარემოებების დასაზუსტებლად, რაც დაგვეხმარება სადაზღვევო მოთხოვნების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესის, ასევე, თაღლითობასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებაში.

წინამდებარე „დამატებითი შეთანხმება“ წარმოადგენს „ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობების“ ნაწილს და შესაბამისად, ამ უკანასკნელში მოყვანილი ყველა დებულება, განმარტება, გამონაკლისი თუ ლიმიტი ძალაშია ამ „დამატებით შეთანხმებასთან“ მიმართებაშიც და მოქმედებს ქვემოთ მოყვანილ სპეციფიკურ განმარტებებთან თუ პირობებთან ერთობლიობაში.

ამასთან, „ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობებსა“ და წინამდებარე შეთანხმებას შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ შეთანხმებას.

დამატებით შეთანხმებაში გამოყენებული ტერმინები და მათი განმარტებები

ქვემოთ მოყვანილი ტერმინები გაიგება შემდეგი მნიშვნელობით:

მონაცემები - ნიშნავს საჭესთან **თქვენი** ქცევისა და **თქვენი** ავტომობილის გამოყენების სტილის ამსახველ ინფორმაციას, ჩანაწერებს და/ან რიცხვით მონაცემებს, რომელიც შეგროვებულია და/ან გადმოცემულია **თქვენ** ავტომობილში დამონტაჟებული **მოწყობილობის** მიერ. **მონაცემების** ანალიზის საფუძველზე მოხდება **თქვენი** რისკის პროფილის შედგენა.

მოწყობილობა - ნიშნავს მიდევნების ტელემატიკურ მოწყობილობას, რომელიც, **თქვენი** ნებართვით, დამონტაჟებულია **თქვენ** ავტომობილში.

რისკის პროფილი - ნიშნავს დაზღვევის პერიოდის განმავლობაში მიღებულ **მონაცემებზე** დაყრდნობით რისკის შეფასებებისა და/ან მონიჭებული რეიტინგების ერთობლიობას

მოწყობილობის ფუნქციონირება სტანდარტულ რეჟიმში - ნიშნავს იმას, რომ **მოწყობილობა** მუდმივად არის დაერთებული **თქვენ** ავტომობილში არსებულ OBD პორტზე, მას უწყვეტად მიეწოდება ელექტროკვება და მისი მეშვეობით **ჩვენ** შეუფერხებლად გადმოგვცემა **მონაცემები**.

საბაზისო პრემია/ტელემატიკური პოლისის პრემიის ბაზისი - ნიშნავს ჩვეულებრივი, არატელემატიკური პოლისებისთვის არსებული წესით გამოთვლილ ყოველთვიურ პრემიას, რომელიც **თქვენ** პოლისშია დაფიქსირებული და წარმოადგენს **თქვენს** მიერ ყოველთვიურად რეალურად გადასახდელი პრემიის ბაზისს - ყოველი კონკრეტული თვის რეალურად გადასახდელი პრემია მიიღება **საბაზისო პრემიის** გაზრდით ან შემცირებით იმ წესის შესაბამისად, რომელიც ამ შეთანხმებაშია მოყვანილი.

მართვის დონის მაჩვენებელი - ნიშნავს **რისკის პროფილის** საფუძველზე გამოყვანილ მაჩვენებელს, რომელიც ასახავს **თქვენი** ავტომობილის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკის დონეს.

მინიმალური დასაშვები ზღვარი - ნიშნავს **მართვის დონის მაჩვენებლის** მაქსიმალური შესაძლო მნიშვნელობის 50%-ს.

პრემიის ინდექსი - ნიშნავს სამკომპონენტო მაჩვენებელს, რომლის პირველი კომპონენტია **მართვის დონის მაჩვენებელი**, ხოლო დანარჩენი ორი - განვლილი მანძილი და გაცხადებული ზარალები. ყოველი კონკრეტული თვის რეალურად გადასახდელი პრემიის სიდიდე განისაზღვრება **პრემიის ინდექსის** კომპონენტების მნიშვნელობების მიხედვით, რომელიც მათ ამ თვის ბოლო დღეს აქვთ.

ტელემატიკა (სატრანსპორტო ტელემატიკა) - ნიშნავს მიდევნების ტექნოლოგიას, რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებათა პარკის სამართავად და რომლის საშუალებითაც ხდება მძღოლთა საჭესთან ქცევის მონიტორინგი, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო მართვის უნარ-ჩვევების დამკვიდრებასა და საგზაო შემთხვევების რისკის და ზარალის შემცირებას.

თქვენ - ნიშნავს **დამზღვევს** ან **უფლებამოსილ მძღოლს** ან ავტომობილის მესაკუთრეს.

აპლიკაცია - ნიშნავს **ჩვენ** მიერ წინასწარ შექმნილ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც **თქვენ** გადაიწერთ **თქვენ** მობილურ ტელეფონში და რომლის საშუალებითაც, მათ შორის, ხორციელდება **თქვენთან** კომუნიკაცია. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ჩვენ** მიერ **აპლიკაციის** საშუალებით **თქვენთვის** გამოგზავნილი შეტყობინება ითვლება **თქვენთვის** ჩაბარებულად.

მოწყობილობის მონტაჟი და დემონტაჟი

მოწყობილობის დამონტაჟებას **თქვენ** ავტომობილში ახორციელებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე **ჩვენი** წარმომადგენელი. დაზღვევა ამოქმედდება (**დაზღვევის პერიოდი** დაიწყება და ძალაში იქნება) მას შემდეგ, რაც **მოწყობილობა** დამონტაჟდება და დაიწყებს **სტანდარტულ რეჟიმში** ფუნქციონირებას.

თავად **მოწყობილობა** და მისი დამონტაჟება **თქვენთვის** არის სრულიად უფასო. იმ შემთხვევაში, თუ **მოწყობილობას** აღმოაჩნდება ქარხნული დეფექტი, **ჩვენ**, ასევე უფასოდ, შევაკეთებთ მას ან ჩავანაცვლებთ ახალი **მოწყობილობით**.

დაზღვევის ხელშეკრულების ან ამ დამატებითი შეთანხმების შეწყვეტის თუ მისი მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ **თქვენ** უნდა დაგვიბრუნოთ **მოწყობილობა**, რისთვისაც **ჩვენ** წარმომადგენელს უნდა მისცეთ მისი დემონტაჟის საშუალება.

თქვენი მხრიდან **მოწყობილობის** ნებისმიერი მიზეზით არ დაბრუნების, ჩვენი წარმომადგენლისთვის მისი დემონტაჟის უფლების/საშუალების არ მიცემის, **მოწყობილობის** დაკარგვის ან/და ნებისმიერი ფორმით დაზიანების შემთხვევაში, **თქვენ** ვალდებული ხართ აგვინაზღაუროთ მისი ღირებულება, რომელიც შეადგენს 40 (ორმოცი) აშშ დოლარს.

ამასთან, **თქვენ** ვალდებული ხართ და შესაბამისად, უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ავტომობილის მესაკუთრეს ან/და ნებისმიერ პირს, რომელიც განახორციელებს ავტომობილის მართვას, განუმარტოთ წინამდებარე პირობები, მათ შორის ის, რომ ავტომობილში დამონტაჟებულია **მოწყობილობა** და ხორციელდება **მონაცემების** შეგროვება და მათი გადაცემა.

მოწყობილობის გამოყენება

დამონტაჟებული **მოწყობილობა** უნდა **ფუნქციონირდეს სტანდარტულ რეჟიმში** მთელი დაზღვევის პერიოდის განმავლობაში. **ჩვენს** მიერ წერილობით გაცხადებული თანხმობის გარეშე, არც **თქვენ** და არც ნებისმიერ სხვა პირს არა გაქვთ უფლება რამენაირად ჩაერიოთ მოწყობილობის მუშაობაში, გათიშოთ ის, შეიტანოთ მასში ცვლილებები ან მოახდინოთ მისი დემონტაჟი.

თქვენი მხრიდან ამ პირობის დარღვევა გვამლევს უფლებას ცალმხრივად შევწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება **თქვენთან** ხუთი (5) დღით ადრე შესაბამისი შეტყობინების გამოგზავნის პირობით. ასევე, **თქვენი** ან სხვა ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირის მიერ **მოწყობილობის** თვითნებურად გათიშვის ან ნებისმიერი სხვა სახის ზემოქმედების შემთხვევაში, **ჩვენ** უფლებას ვიტოვებთ არ აგინაზღაუროთ ზარალი, რომელიც მოხდება **მოწყობილობის** გათიშულ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში.

მოწყობილობის გათიშვის შემთხვევაში, **ჩვენ** შევიტყობთ ამის შესახებ **ჩვენთან** შემოსული სიგნალის მეშვეობით და მაქსიმალურად მოკლე დროში დაგიკავშირდებით რათა გავარკვიოთ გათიშვის მიზეზი. თუ აღმოჩნდება, რომ **მოწყობილობა** გაითიშა **თქვენგან** დამოუკიდებელი მიზეზის/ხარვეზის გამო, **ჩვენ** შევეცდებით რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ ეს მიზეზი თუ ხარვეზი.

იმ შემთხვევაში თუ დაზღვეული ავტომობილი 10 დღის განმავლობაში არ მოძრაობს ან/და ავტომობილის მიერ განვლილი მანძილი ნებისმიერი 10 თანმიმდევრული დღის განმავლობაში არ აღემატება 100 კმ-ს, **ჩვენ** უფლებამოსილნი ვართ ცალმხრივად შევწყვიტოთ

ხელშეკრულება 5 (ხუთი) დღით ადრე შესაბამისი შეტყობინების (მათ შორის აპლიკაციის საშუალებით) გამოგზავნის პირობით.

მონაცემების გამოყენება

მონაცემთა შეგროვება იწყება **მოწყობილობის** თქვენ ავტომობილში დამონტაჟების დღიდან. ეს **მონაცემები**, მათ შორის, მოიცავს:

- მოგზაურობის თარიღსა და იმას თუ დღე-ღამის რა დროს მოხდა ეს მოგზაურობა;
- **თქვენი** ავტომობილის ადგილმდებარეობას;
- მოგზაურობის დროს განვლილ მანძილს;
- მოძრაობის სიჩქარეს მთელი მოგზაურობის განმავლობაში;
- დამუხრუჭების სიხშირესა და სიძლიერეს;
- ინფორმაციას აჩქარებების შესახებ.

მონაცემები გამოიყენება **თქვენი** რისკის პროფილის შესადგენად, **თქვენი** ავტომობილის ადგილმდებარეობის დასადგენად მისი მოპარვის/გატაცების შემთხვევაში და ასევე, როგორც დამოუკიდებელი, ობიექტური მტკიცებულებები საგზაო შემთხვევის მოხდენისას.

ამ **მონაცემებს** აქვს მნიშვნელობა მხოლოდ ამ დაზღვევის ხელშეკრულებისთვის და ისინი არ გამოიყენება არც მომდევნო დაზღვევის პერიოდში და არც რომელიმე სხვა დაზღვევის ხელშეკრულებისთვის.

კონფიდენციალურობა

თქვენი მონაცემები არის მკაცრად კონფიდენციალური და გამოიყენება მხოლოდ წინამდებარე დამატებითი შეთანხმების მიზნებისთვის. ჩვენ გამოვიყენებთ გონივრულ დაცვით მექანიზმებს და მივიღებთ უსაფრთხოების სხვა ზომებს რათა ვუზრუნველყოთ **მონაცემების** უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა.

პრემიის ცვლილება

ტელემატიკური პოლისი გულისხმობს ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის გადახდას. თუ **ჩვენსა** და **თქვენ** შორის სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, პირველი თვის პრემიის გადახდა მოხდება მეორე თვის დასაწყისში და მისი სიდიდე განისაზღვრება განვლილი თვის **მონაცემების** ანალიზის საფუძველზე გამოყვანილი **პრემიის ინდექსის** კომპონენტების მნიშვნელობების მიხედვით. ყოველი შემდეგი თვის პრემიის სიდიდის დადგენა (და მისი გადახდა) მოხდება ამ თვის მომდევნო თვის დასაწყისში (ბოლო თვის პრემია - ამავე თვის ბოლოს) და დაეფუძნება დაზღვევის პერიოდის განვლილი ნაწილის განმავლობაში შეგროვებული **მონაცემების** საფუძველზე გამოყვანილ **პრემიის ინდექსის** კომპონენტების მნიშვნელობებს. შესაბამისად, მომდევნო თვის პრემია შეიძლება აღმოჩნდეს წინა თვის

პრემიაზე როგორც მეტი, ასევე - ნაკლები. ჩვენ რეგულარულად მოგაწვდით ინფორმაციას როგორც პრემიის ინდექსის, ასევე პრემიის ცვალებადობის თაობაზე. სინამდვილეში, პრემიის ინდექსი დაკავშირებულია თქვენ ავტომობილთან და არა პირადად თქვენთან, ასე რომ თუ თქვენ ავტომობილს სხვა მძღოლებიც მართავენ, მათმა ქცევამ საჭესთან ასევე შეიძლება იმოქმედოს თქვენი პრემიის სიდიდეზე.

ამგვარად, პრემიის ინდექსის გამოთვლა დაეფუძნება

განვლილ მანძილს;

გადაადგილების სიჩქარეს;

აჩქარების სისწრაფეს;

დამუხრუჭების სიძლიერეს;

იმას, თუ სად და როდის გადაადგილდებით;

გაცხადებული ზარალების ისტორიას.

შესაბამისად, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა, ძალიან მკვეთრი აჩქარება, ძლიერი დამუხრუჭება ან მართვის არასაკმარისი უნარები ნეგატიურად აისახება თქვენ მართვის დონის მაჩვენებელზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს თქვენი პრემიის გაზრდა მაშინაც კი, როდესაც პრემიის ინდექსის სხვა კომპონენტები უცვლელი რჩება. პირიქით, თუ დაემორჩილებით სიჩქარის შეზღუდვას, აჩქარებით ან დაამუხრუჭებთ გლუვად და თანდათანობით, ასევე გამოავლენთ მართვის კარგ უნარებს, ეს პოზიტიურად აისახება თქვენ მართვის დონის მაჩვენებელზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს თქვენი პრემიის შემცირება.

თუ თქვენი მართვის დონის მაჩვენებელი ჩამოსცდება მინიმალურ დასაშვებ ზღვარს, ჩვენ გამოგიზავნით გაფრთხილებას და ასეთ შემთხვევაში ვიტოვებთ უფლებას ცალმხრივად, 5 (ხუთი) დღით ადრე გამოგზავნილი შეტყობინების (მათ შორის აპლიკაციის საშუალებით) საფუძველზე, შევწყვიტოთ ეს ხელშეკრულება.

დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმება და მოშლა.

დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის ან მისი გაუქმების თუ მოშლის შემთხვევაში, მოწყობილობა იქნება დეაქტივირებული და ამოღებული თქვენი ავტომობილიდან ჩვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. თუ თქვენ გადაწყვეტთ გააუქმოთ დაზღვევის ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე, უნდა წერილობით შეგვატყობინოთ ამის შესახებ დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და დაელოდოთ ჩვენ წარმომადგენელს, რომელმაც უნდა მოახდინოს მოწყობილობის დეაქტივირება და მისი უსაფრთხოდ ამოღება.

არც თქვენ და არც ვინმე სხვა პირმა არ უნდა ამოიღოს მოწყობილობა ავტომობილიდან და არც სცადოს მისი ამოღება. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი არანაირ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს თქვენ ავტომობილს.